

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ილია ქავჭავაძის პირადი არქივი. ამ წარმოდგენილია მისი მხატვრული ნაწარმოებებისა და პუბლიცისტური ნაწერების, ხელნაწერი ვარიანტები, ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები, მრავალფეროვანი პირადი ჩანაწერები. ამასთან ერთად აქ არის ილიას სხვადასხვა დროის უბის წიგნი-ცხები, რომლებიც შეიცავენ მკორფას მასალას დიდი ქართული მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ ყოველდღიურ ჩანაწერებში ნათლად ჩანს ილია ქავჭავაძის ინტერესთა სიფართოვე, მისი დაუღალავი ზრუნვა ქვეყნისა და ხალხის კარგობზე.

ილიას უბის წიგნაკებში შეხვდებით სხვადასხვა პირთა მისამართებს, საზოგადოებრივ მარშრუტებსა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებს, რუსული და უცხოური წიგნების სიებს, ამა თუ იმ საქმის დაწყება-დასრულების თარიღს, ბანკის ბუღალტრისა და მთელი რიგი სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეთა შესახებ ჩანაწერებს.

უბის წიგნაკებში ილიას შეაქვს აგრეთვე ამონაწერები ცალკეული ავტორების ნაშრომებიდან და აქვეა მისი შენიშვნები ამ ნაშრომთა შესახებ. ასე, მაგალითად, ერთ წიგნაკში (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია 1719—A) მოტანილია ამონაწერები „ეგვიპტის ისტორიიდან“; იქვე ილიას თავისი შენიშვნები გაუყუთება:

„მზის ხშირი ხსენება ქართულში ეგვიპტიდან ხომ არ არის შემოღებული“; „ეგვიპტელებიც იხსენიებენ „ცისკარს“; „ბაბილონსა და ეგვიპტეში მეფეების მეფობის წლებითა სთვლიდნენ წელიწადებსა. მაგასივე ნიშნებია „ქართლის ცხოვრებაში“.

ილიას უბის წიგნაკებში შეხვდებით სამეურნეო და საოჯახო პრაქტიკაში გამოყენებულ რჩევა-დარიგებებს. აქვეა იურიდიული ხასიათის ჩანაწერებიც, რომლებიც ამ პერიოდს ეკუთვნის, როცა ილია დუშეთში მოპრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა. ჩანაწერებში ნათლად ჩანს ილიას დიდი პუმაჩიზმი, სამართლიანობა, მშრომელებისადმი გამოსარჩლება. როდესაც ილიასთან საჩივრულად მივიდოდნენ ხალხი, ხანს ის უბის წიგნაკში დაუყოვნებლივ აწერდა ნომრივანის გვარს, სადაურობას, სოციალურ მდგომარეობას და საჩივრის მოკლე შინაარსს. გავეცნოთ ამ ჩანაწერების ზოგჯერ ნიმუშს:

„მკადმსჯელო. იაკობ დინუაშვილმა იჩიულა, რომ მისმა მემატონემ თ. გორგი ბეგრატიონ-მუხრანსკიმ 1864 წელს, 5 აპრილს ვენახი ჩამოართო და ბარათით, რომელიც ახლა დინუაშვილს ხელში უკირავს, დაპირდა საბადლო მიეცა. და ეს საბადლო ვენახიც 29 იანვარს ჩამოართო, ვითომც იმ მიხეზით, რომ სხვა ადგილას რომ ვენახსა ღობავსო, მე ნება არ მიმიციაო... კანონით დინუაშვილს უნდა დაუბრუნდეს ის საბადლო და არც დაეშალოს სხვა მიწაზე ვენახის გაშენება“.

დუშეთში მოსამართლედ ყოფნის დროს ილიას საშუალება მიუღია ახლო გასცნობოდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებას, შეეგროვებინა ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ხასიათის მასალა.

ამ პერიოდშიდან შემორჩენილ ერთ უბის წიგნაკს თავფურცელზე აწერია: „ხევის უბანტკა“. ფანე ჩირდილელო. „ჯაბოტენი“. ამით ხანს, რომ ილია დაინტერესებული ყოფილა ხევის ამ სოფლით, რომლის მკვიდრმა ლულა ლენიამ ტბილი ბასით გადმოატარა გვარის უღელტეხილზე ავტარი „მგზავის წერილებისა“. როგორც ვიცით, გადმოტენილებისა და გარბანულების შემატონედ ჩირდილელები ითვლებოდნენ. ეს მაშინ ილიასათვისაც ცნობილი ყოფილა.

ამას გარდა, დასახლებულ უბის წიგნაკში წარმოდგენილია ხევში (აოფ. სტეფანწმინდას) 1871 წლის 22 მარტს ჩაწერილი რამდენიმე ხალხური ლექსი: „ეაყაყსა გული რეინისა“, „ნეტავი ლაშქარს შეგვეყარა“, „არ ვარგა ქალი“, „კარგი ყმა“, „ლაშარის გვარსა კვიდია“, „კარგი ყმა ლაშქარს მოკვდებია“, „გაგვიძებ, ბერო მინდიაე“, „ბლოს ბერდია და სირილა“, „ეაყაყს დიაცის დაბნდოსა“. 70-იან წლებში შეგროვებულ ფოლკლორულ ნიმუშებს ილია ეურნალ „კრებულში“ ბეჭდავდა „გლეხური სიმღერების“ სახელწოდებით („კრებულში“, 1872 წ. № 7, 8; 1873 წ. № 1, 3, 5-6, 7, 8, 10). სხვათა შორის, ამ ეურნალში ილიამ გამოაქვეყნა ხევში ჩაწერილი ლექსების ნაწილიც — „ნეტავი ლაშქარს შეგვეყარა“ და „ლაშარის გვარსა კვიდია“. როგორც ეს, ასე უბის წიგნში ფიქსირებული ყველა სხვა ლექსი გამოაქვეყნებულია პ. უშიკაშვილის წიგნში „ხალხური სიტყვიერება“.

ილიას უბის წიგნაკებში ვხვდებით ცალკეულ ქართულ, რუსულ და უცხოურ სიტყვებს, რომლებსაც სათანადო განმარტებაც ახლავს. ზოგიერთ შემთხვევაში ასახსნელი სიტყვა მოცემულია კონტექსტში, შესაბამისი წყაროს დასახლებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოხვედრი მასალებით შევსებული უბის წიგნაკი, სადაც ვხვდებით ხევში გავრცელებულ რამდენიმე სიტყვას და ფრაზას. მაგალითად: „საქირბორო-ტოი შეკამბულ ცხენ. დაილოც მიშველ ცხენ. ფეხ გადასწვდიდი და გადასგდიდი“. აქვე იხილება ილია ახსნას ორი სიტყვისა — „პეიტრობა“ და „იერი“. როგორც ვიცით, ეს ფრაზა და სიტყვები, სათანადო განმარტებითურთ, ილიან შეტანილი აქვს „მგზავის წერილებში“, რაც იმაზე მიგვიჩიითებს, რომ მწერალი გულდასმით სწავლობდა მხატვრული ნაწარმოებისათვის საჭირო მასალას და არაერთგზის ამოწმებდა მას.

ილია ქავჭავაძის უბის წიგნაკები მდიდარ მასალას იძლევიან დიდი მწერლის ცხოვრების და შემოქმედებითი მუშაობის თავისებურების შესახებ.

ვალენტინას ითონიშვილი.